საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის
XIII საერთაშორისო კონფერენცია

პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XIII საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2023 წლის 4 - 9 სექტემბერს ქ.ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით.

კონფერენციის სექციები და თანათავმჯდომარეები:

- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა (ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია)
- ალგებრა და რიცხვთა თეორია (ემზარ ხმალაძე, თეიმურაზ ფირაშვილი)
- გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და გამოთვლები გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში (თეიმურაზ დავითაშვილი, რამაზ ქვათაძე, მანანა ხაჩიძე)
- გეომეტრია და ტოპოლოგია (მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი)
- დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები (როლანდ დუდუჩავა, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა)
- ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი (ბესიკ დუნდუა, მიხეილ რუხაია, კოსტანტინე ფხაკაძე)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე)
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა (ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე)
- მათემატიკური ფიზიკა (ალექსანდრე კვინიხიძე)
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი (ლაშა ეფრემიძე, გიორგი ონიანი, გიორგი ტეფნაძე).

თემატური მინისიმპოზიუმები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინისიმ-პოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით **2023 წლის 15 ივნისამდე** შემდეგ მისამართზე: conferences.gmu@gmail.com
მინისიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

რეგისტრაცია: წინასწარი რეგისტრაციისთვის ეწვიეთ კონფერენციის ვებგვერდს http://gmu.gtu.ge/conferences/ ინფორმაციას სარეგისტრაციო გადასახადის შესახებ მიიღებთ მოგვიანებით.

დაგეგმილია კონფერენციის მასალების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში "Journal of Mathematical Sciences" (Springer, https://www.springer.com/journal/10958), რომელიც

ინდექსირებულია Scopus - ბაზაში. სტატიები შეირჩევა შეზღუდული რაოდენობით შესაბამისი სექციების თავმჯდომარეების მიერ და დაიბეჭდება სტანდარტული რეცენზირების პროცესის გავლის შემდეგ.

თეზისის წარდგენა: ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს http://gmu.gtu.ge/conferences/ და გაიარეთ რეგისტრაციის საწყისი ეტაპი, ატვირთეთ თქვენი თეზისის LaTex და pdf ვერსიები **2023 წლის 15 ივლისამდე.**

დაგვიანებით წარმოდგენილი თეზისი არ გამოქვეყნდება თეზისების კრებულში. თეზისი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს LaTex ფორმატში, განახლებული შაბლონის მიხედვით.
სხვა ფორმატში გამოგზავნილი თეზისი სამეცნიერო კომიტეტის მიერ არ განიხილება. თითოეული თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონში მითითებული წესები. განახლებული შაბლონის ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდან. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია მოხსენების სათაურის ქართული ვერსიის მითითება რეგისტრაციის დროს.

შენიშვნა: რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი გამოქვეყნდება თეზისების კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ.

მნიშვნელოვანი თარიღები:

15 ივნისი, 2023 - მინისიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა;

15 ივლისი, 2023 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა;

20 ივლისი, 2023 - მოხსენებების მიღების დადასტურება;

31 ივლისი, 2023 - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების ჩართვა თეზისების კრებულში.

დამატებითი ინფორმაცია მოცემული იქნება მეორე შეტყობინებაში.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,
კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი ალექსანდრე მესხი

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თანათავმჯდომარეები
პროფესორი ანზორ ბერიძე,
პროფესორი დავით ნატროშვილი